ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4782122

ნომერი: AR1680048

თარიღი : 05.12.2019

გაცემის თარიღი : 06.12.2019

გაცნობის თარიღი : 06.12.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჩუბინიძე პ/ნ 01007011985
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. კორ. 5 ბ. 51

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: რივერსაიდ დიღომი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405218107
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თენგიზ კანდელაკი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009010678

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4488741
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 5.06.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. ვინაიდან მესაკუთრეს - საზოგადოებას ჰყავს ორი დირექტორი, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ საზოგადოებას, ამიტომ „დამკვეთ (ებ) ის სახელი და გვარი“ ველში მეორე დირექტორი თინათინ ენუქიძეც მიუთითეთ და შესაბამისად წარმოადგინეთ მის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობაც . ასევე, წარმოსადგენია იპოთეკარის თანხმობა , საჭიროების შემთხვევაში, თანხმობის გამცემი პირის უფლებამოსილების დაამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად.

2. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ ჩაითვლება მისაღებად, მასში მოცემული ინფორმაცია არასაკმარისია რადგან მასში არ არის მითითებული- -ქანების მიმართების აზიმუტი; -ქანების დახრის კუთხე, -ქანების სიმძლავრეები; -ხომ არ არის ქანების მოცურების საფრთხე, -შურფების მონაცემები, -ტერიტორიის ჰიდროგეოლოგია, - ხომ არ აღინიშნება ან ხომ არ არის საფრთხე მშენებლობის დაწყების შემდეგ არახელსაყრელი გეოლოგიური მოვლენების განვითარების (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვ.), შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას შესწორებული საექსპერტო დასკვნა, მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით.

3.ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულია საძირკვლის ტიპები: მონოლითური ხიმინჯები და წერტოლოვანი საძირკვლები რაც საჭიროებს მეტ დაკონკრეტებას ასევე შენობის გაბარიტული ზომების 86.2x52.55 შემთხვევაში სეისმური ნორმების მიხედვით შენობა საჭიროებს ანტისეისმურ შოვს რაც არ არის ნახსენები აღნიშნულ საექსპერტო დასკვნაში და დასკვნას არ ახლავს ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.